ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3025597

ნომერი: AR1464827

თარიღი : 17.12.2016

გაცემის თარიღი : 10.01.2017

გაცნობის თარიღი : 10.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დელისი III ქუჩის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა დელისი-3 , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/196);

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ გოგინაშვილი პ/ნ 59001012048
- ჩირგაძის 3

ორგანიზაცია:
- შპს ინტერსტანდარტი კოდი: 417878425

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 03 აგვისტოს №2046546 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 17 დეკემბრის №AR1464827 განაცხადით მომართა თენგიზ გოგინაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 03 აგვისტოს №2046546 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 03 აგვისტოს №2046546 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, დელისი III ქუჩის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.15.001.309) მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობის ნაცვლად 432.7 კვ.მ-ისა 602,8 კვ.მ-ის დაფიქსირება, საერთო ფართობის ნაცვლად 4171.6 კვ.მ-ისა 4341,7 კვ.მ-ის დაფიქსირება, ასევე, განსახილველი განაცხადით წარმოდგენილია +28.80 ნიშნულის შესწორებული გეგმა.
სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები და +28.80 ნიშნულის შესწორებული შეესაბამება 2015 წლის 03 აგვისტოს №2046546 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და განმცხადების მოთხოვნა აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 03 აგვისტოს №2046546 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:602,8; საერთო ფართობი (კვ.მ).:4341,7 და შეთანხმებული, +28.80 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს 2016 წლის 17 დეკემბრის №AR1464827 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულის შესწორებული გეგმით. სამსახურის 2015 წლის 03 აგვისტოს №2046546ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.